

„რატომ არ ვიშასურაბთ სერტიფიკატებს — ეს მაინც სომ უნდა აგვიხსნან? იქნებ, სულაც არ ვაპირებთ დირექტორობას?“

იხილეთ მე-2 გვერდზე



ენცივით გაზეთი „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

უთავო ქალაქის გენერლები



იხილეთ მე-3 გვერდზე

„მილიარდი ამბოხებული სამართლიანობისთვის“

2014 წლის 14 თებერვალს სრულიად მსოფლიო გაერთიანდა გლობალური კამპანიის – „მილიარდი ამბოხებული სამართლიანობისათვის“ ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად.

კამპანიის ფარგლებში, ქალები გამოდიან სახლებიდან, სამსახურებიდან და ცეკვით ერთიანდებიან, რათა მთელმა მსოფლიომ იხილოს მათი ერთიანობა და ძალისხმევა სამართლიანობის აღდგენის, ძალადობის დაგმობისა და გენდერული თანასწორობისთვის.

საქართველოში უკვე მეორე წელია, აღინიშნება ეს დღე და საზოგადოება მშვიდობიანი პერფორმანსის გზით უერთდება მსოფლიო მოწოდებას სამართლიანობისათვის.

ქუთაისშიც, თეთრ ხიდზე მოხალისე ახალგაზრდებმა აქცია-კონცერტი გა-

მართეს და ქალთა მიმართ ძალადობა დაემეს. ამ აქციით ისინი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამართულ ღონისძიებას შეუერთდნენ, სახელწოდებით: „ერთი მილიარდი ხმა“.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

რომან გოშირიკა:
„ბიუჯეტს მიხედა, „ხვედლიკა“ ბიუჯეტს!“


„ლარის მკვეთრი რყევები არასტაბილურობის განცდას ქმნის“



იხილეთ მე-3 გვერდზე

„ტენასემოტრი“ ბრუნდება?

„გზები თუ აქვთ ერთი ევროსტანდარტების?“



იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმეზიონი
qimizoni.ge

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „აპოკალი“;
ტელ.: 790 927 927.



**წიგნები
უნე გალოდება!**

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „აპოკალი“, წიგნების მაღაზია „ქიმეზიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge

ISSN 1987-7056



კაღალი, როგორც ყოველ წუთს შეიძლება, ჩამოინდრეს...

იანვარის მიწურულს ჩვენმა ორგანიზაციამ — „ახალი სამოქალაქო აზროვნება“-მა, მოიპოვა ქუთაისის წყალმომარაგების სისტემების დეტალური დაპროექტების მასალები. აღნიშნული დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელი გახდა ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს დახმარებით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ბიუროს თითოეულ თანამშრომელს. ასევე მადლობას ვუხდით ასოციაცია „ასა“-ს წარმომადგენლებს, რომლებთანაც აქტიურად ვთანამშრომლობდით აღნიშნულ საკითხზე.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალმომარაგების პროექტის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ქუთაისის წყალმომარაგების ქსელის გაუმჯობესებას, დაყოფილია დროში ორ ფაზად:

• პირველი ფაზა — 2015 წლამდე;

პირველი ფაზა, რომელიც დაიწყო 2013 წელს და, ძირითადად, ორიენტირებულია ქუთაისის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ უბნებზე, მოიცავს 6 ახალი რეზერვუარისა და 2 სატუმბო სადგურის მშენებლობას, ჯამური 52 კმ წყალმომარაგების მაგისტრალური ხაზებისა და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობას, მალასართულიან კორპუსებში 40000 აბონენტის გამორიცხველიანებას.

• მეორე ფაზა — 2016 წლიდან 2020 წლამდე.

პროექტის მეორე ფაზა, რომლის დაწყებასაც უნდა ველოდოთ 2016 წელს, მიზნად ისახავს ახალი „აღმოსავლეთის რეზერვუარის“ მშენებლობას და სამომსახურებო ტერიტორიების გაფართოებას ახალი უბნების მიერთებით წყალმომარაგების სისტემებთან. ასევე იგეგმება ძველი მილსადენების შეცვლა, ახალი სატუმბო სადგურებისა და წყალშემკრები რეზერვუარების მშენებლობა. გამანაწილებელი ქსელი დაყოფა ხუთ სექტორად, რომლებსაც ექნებათ ერთმანეთთან შეერთების შესაძლებლობა.

და საერთოდ, ქუთაისის წყალმომარაგების პროექტის მონაცემებით, ახალი ქსელით შესაძლებელი იქნება სამიხე 2040 წლისათვის პროგნოზირებული მოსახლეობის მომარაგება.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია და ძნელად თუ მოიძებნება ქალაქში ადამიანი, რომელიც არ მიესალმებოდეს წყალმომარაგების გაუმჯობესების მხრივ დაგეგმილ საქმიანობებს, თუმცა არსებობს საკითხები, რომლებიც შეიძლება არ იყოს ისეთივე მასშტაბური, როგორც სრულიად ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ეხებოდეს მხოლოდ ერთ ან რამოდენიმე ადამიანს, მაგრამ ითხოვდეს გადაწყვეტას სასწრაფოდ და არა 2015, 2020 ან 2040 წლისათვის. ვინ მოთვლის, რამდენმა ასეთი პრობლემური საკითხი დაგროვდა ჩვენს ქალაქში.

ორგანიზაციის მიმდინარე პროექტის — „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა“ მსვლელობისას, რომელიც დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მიერ გრანტების პროგრამის ფარგლებში, ჩვენმა



ორგანიზაციამ ჩატარა რამოდენიმე შეხვედრა ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენლებთან:

- კახიანურის, საფიხიის და ქალაქ-მუზეუმის მართვის ტერიტორიულ ორგანიზაციებში;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
- ხანდაზმულთა სოციალურ ცენტრში;
- გელათის ქუჩის მაცხოვრებლებთან.

ასევე გვქონდა მრავალი შეხვედრა მოსახლეობასთან სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დროს. ჩატარებული და დაგეგმილი შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენს ქუთაისში მიმდინარე წყალმომარაგების სარეაბილიტაციო პროექტის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და არსებული მდგომარეობის შესახებ დისკუსიის გამართვა, შეხვედრების მონაწილეთა მიერ გამოთქმული პრობლემების აღმოფხვრასა თუ შეზღუდვებზე ზრუნვა თვით შეხვედრის მონაწილეებთან ერთად. ვიმედოვნებთ, რომ ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს პრობლემის მქონე ადამიანების გააქტიურებას კანონიერი გზით თავისი უფლებების დაცვის საკითხში, კომუნალური სერვისების მომწოდებელთან ურთიერთობის უნარჩვევების შექმნისას და, რაც მთავარია, მისცემს მათ შესაძლებლობას სრულფასოვანი მოქალაქედ ჩემოყ აღიბებისა.

დისკუსიების დროს, ძირითადად, გამოიკვეთა ქუთაისისათვის დამახასიათებელი ტიპური პრობლემები:

- ინდივიდუალურ სახლებში დაყენებული აღრიცხვის კვანძისათვის თანხის გადახდა;
- მრავალბინიან სახლებში მცხოვრებ აბონენტთათვის აღრიცხვის კვანძის დაყენებაზე ზედმეტი თანხის გადახდა (მიწის სამუშაოებისა და პლასტიკის ყუთების დადგმისათვის);
- 2012 წლის ნოემბრის შემდეგ

ყველა ადრე დაყენებული აღრიცხვის კვანძისათვის ერთნაირად თანხის მოთხოვნა 100 ლარის ოდენობით.

ჩვენს მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან გამოვყოფთ ქალაქ-მუზეუმის მართვის ტერიტორიულ ორგანიზაციაში გამართულ შეხვედრას, სადაც დაგვეწყო გელათის ქუჩის ერთ-ერთი ეზოს რამოდენიმე წარმომადგენელი. მათ ავუწერეს ის მდგომარეობა, რასაც თქვენ ხედავთ სურათებზე. ეს გახლავთ გელათის ქუჩის №47 და 49-ის ეზო საერთო ასახველით. ამის შესახებ მოთხოვნილია ჩვენს სტატიაში გაზეთ „**PS**“ („პოსტსოციალიზმი“) ერთ-ერთ წინა ნომერში, კერძოდ №1(689) 03.02.2014-09.02.2014 წ.

საერთო ეზოში 8 ოჯახზე (წყალმომარაგების აბონენტზე) არის 2 საკანალიზაციო მილი, ერთი ემსახურება 3 აბონენტს, ხოლო მეორე 5 აბონენტს. მეორე მილი არის სრულიად უვარგისი და ხდება ფეკალური მასების გაჟონვა ეზოში, კიბეებზე და, საერთოდ — ქუჩაში, თითქმის მთელ ქვედა მონაკვეთზე. ასევე აბონენტთა სახლები განლაგებულია ქუჩის პირიდან, დაახლოებით, 2 მეტრის სიმაღლეზე და დიდი ქვებით ნაშენები ქუჩის პირა კედელი არის ჩამონგრევის საშიშროების წინაშე. პირველ (შედარებით გამართულ) მილზე დამატებით 5 აბონენტის დაერთება არის შეუძლებელი მილის გამტარიანობის გამო. როგორც მაცხოვრებლებმა გვითხრეს, აღნიშნული პრობლემის შესახებ უკანასკნელ წლებში მათ ბევრჯერ მიუმართავთ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობისათვის,



ასევე წყალკანალიზაციის, თუმცა, მრავალი დაპირების მიუხედავად, პრობლემა დღესაც მოუგვარებელია. ესთეტიკურ და ჰიგიენურ პრობლემებს დამატება კედლის ჩამოშლის საშიშროებაც. იგი ყოველ წუთს შეიძლება ჩამოინდრეს და შექმნას აფარული სიტუაცია შემდეგი გარემოებებით:

- მაცხოვრებლებს შეუწყდებათ გამომარაგება, წყალმომარაგება და წყალარინება (კანალიზაცია);
 - ღრობით დაიკეტება საავტომობილო მოძრაობა.
- აღსანიშნავია, რომ საყრდენ კედლად გამოყენებული ქვითკირის ყორიდან გამოდის ტუალეტის წყალი და ეზოს კიბესთან სანამ მიხვალ, სუნთქვა უნდა შეიკავო. რაც შეეხება კანალიზაციის მილის შეცილებული ნაწილიდან გამომდინარე სითხეს — ის გამოდის ტროტუარზე (კედელში ჟონვა შეიმჩნევა მუქი ფერით) საკმაო

მანძილზე და შემდეგ ჩაედინება ღვარსადენში. მსგავსი სიტუაცია არის გელათის ქუჩის №46-ს ნომერშიც.

თხოვნა ადგილობრივი თვითმმართველობის და წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან:

- ვისი ვალდებულებაა — მიაკვირონ ყურადღება აღნიშნული საკითხს;
- გთხოვთ, სასწრაფოდ დაათვალიეროთ აღნიშნული ადგილი, შეისწავლოთ მდგომარეობა, მოქმედონ შესაბამისი გამოსავალი და პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობები.

„ახალი სამოქალაქო აზროვნება“ სტატია მომზადებულია პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა“ ფარგლებში.



This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.



ჰილოზა

ჩვენს საყვარელ ტყუპ ბიძაშვილებს, აზა და ზაზა გუბელაძეებს ვულოცავთ დაბადების დღეს!

ბიძაშვილ — მამიდაშვილები

კვირის კოროსკოპი

- ვერდი: საშუალება მოგვცემთ...
კურო: რაიმე კონკრეტული საქმით ნუ დაკავდებით...
ტყუბუბი: უმჯობესია ისეთი საქმით დაკავდეთ...

ლელა, ეროსი და ვალენტინოზა...

ეს ამბავი, დაახლოებით 15 წლის წინ მოხდა. მაშინ გავხეთ P.S.-ის „პოსტსერვიცოში“ ახალბედა ჟურნალისტი ვიყავი...



ჩვენი გავრეხვის პოპულარობა პიკს აღწევდა არამატო ქუთაისში, მთელს იმერეთში. ყოველკვირეული გავრეხის გამოსვლას თემურ შაშიაშვილიდან...

გავრეხვის უამრავ საინტერესო რუბრიკას შორის, იყო ერთი, ძალიან სახალისო რუბრიკა — გაცნობის კლუბი „მე შენ გელი, რა ხანია!“...

ეს ის პერიოდია, მობილური ტელეფონი რომ არ გვქონდა ნანახი... ახლა ამის დაჯერება ძნელია, მაგრამ იყო ასეთი დროც...

ერთ მშვენიერ დღეს, დღეს, როცა გავრეხვის მოსამზადებელი სამუშაოები უნდა დასრულდეს და კალკებზე ამობეჭდოს...

ნამ... შორენას ქოთქოთზე იდეამ გამინათა გონება და...
გარ 33 წლის, უმაღლესი განათლების მქონე მომხიბვლელი მამაკაცი. ვმუშაობ ერთ-ერთ ბანკში...

ქალბატონები კი — ბუღალტერი ან დამლაგებელი... თურმე, ნუ იტყვი...
პირველი ერთი კვირა ვხალსობდი, მერე კი, ყველას პირში ვახლიდი...

თავი შევიკავე... ვმალავდი საგულდაგულოდ ეროსს, ხან ეძინა დალილს, ხან სათევზაოდ იყო, ხან დაბადების დღეზე...

ქალწული: პრობლემები მალე უკან დარჩება. შეეცადეთ, მაქსიმალურად კომუნიკაბელური იყოთ.
სასწორო: უმჯობესია დრო დაუთმოთ საქმეებს, რომლებიც დიდი ხნის წინ დაიწყეთ და დაუთმავრებელი მიატოვეთ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები
თარაზულად: 3. სირტაკი; 5. უნაბი; 6. ადო; 8. ვაი; 9. მედეა; 11. ინალური.

Table with 13 columns (A-M) and 13 rows (A-M) for crossword puzzle answers.

Table with 13 columns (A-M) and 13 rows (A-M) for crossword puzzle clues.

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიპტორინაზე
სამწუხაროდ, ცნობილი და პოპულარული ქართველი მსახიობი ზურა ყიფშიძე, ჩვენმა მკითხველმა ვერ ამოიცნო.

რას დააკვირვებით?
პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიპტორინაზე
ალანა ბაღვაშიანი
მიდი, ელენე, გვასახელე!
ლილი შილაშვილი

კროსვორდი
თარაზულად: 3. იაპონიის კუნძული. 5. მეფის მხლებლები. 6. მიმართვა ქალისადმი ბრიტანეთში...